

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი  
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF  
**Elguga Berishvili**

პროექტის მენეჯერი  
ემზარ ზენაშვილი

THE PROJECT MANAGER  
**Emzar Zenashvili**

პროექტის კოორდინატორი  
რუსუდან აფცაური

THE PROJECT COORDINATOR  
**Rusudan Aptsauri**

ტექსტი  
ავთანდილ გურასაშვილი

TEXT  
**Avtandil Gurasashvili**

დიზაინი  
ვახტანგ შათაიძე

DESIGN  
**Vakhtang Shataidze**

რედაქტორი  
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,  
კარლო ფაჩულია, ზაალ წერაფარძე, ინგა ალავიძე,  
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF  
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,  
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,  
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო  
ავთანდილ გურასაშვილი, გივი კიკვაძე, ალექსანდრე  
კოტორაშვილი, ელენე ფერენცი, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)

PHOTO  
**Avtandil Gurasashvili, Givi Kikvadze, Aleksandre Kotorashvili,  
Vladimir Fedorenko, www.sportphoto.ge**

პარტნიორები  
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი  
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა  
საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

PARTNERS  
**Georgian National Olympic Committee  
Olympic Solidarity of the International Olympic Committee  
Georgian Judo Federation**

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

# შოთა რაძარელი

2011

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია  
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION



...კავკასიონის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალზე ასული შოთა ხაბარელი თავის მთასვლურ ნათლობას მუშტებალმართული ხარობდა. ოლიმპიური ჩემპიონი რომ გავხდი, მაშინაც ზუსტად ასე გამოვხატე უდიდესი სიხარულიო, გვითხრა შოთა ხაბარელმა. შოთამ და მოსკოვის ოლიმპიური თამაშების კიდევ ერთმა ჩემპიონმა ვახტანგ ბლაგიძემ უსახელო მწვერვალი თბილისის უნივერსიტეტის მთამსვლელებთან ერთად დალაშქრეს და ხდის ხეობაში აღმართულ ამ პიკს „საქართველოს ოლიმპიელი“ უწოდეს. ეს მოხდა 2003 წლის შემოდგომაზე, მომდევნო წელს კი ხაბარელმა უდიდესი სიხარული ათენის ოლიმპიურ თამაშებზე განიცადა, როცა მისი ალსაზრდელი ზურაბ ზვიადაური ოქროს მედალს დაეუფლა. გავიდა ორი წელი და კვლავ ეწვია ზღვა სიხარული — ახლა უკვე პარიზში, სადაც საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა მისი მეთაურობით მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფინალში რუსეთის გუნდს მოუგო და პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

წლეულს ორმოცდაათისა ვხდები და დაბადების დღისთვის უკეთეს საჩუქარს ვერც ვინატრებდიო, გვითხრა პარიზიდან დაბრუნებულმა შოთა ხაბარელმა, რომლის ბიჭებსაც თბილისის აეროპორტში გულშემატკიცვრებმა ისეთივე ტრიუმფალური დახვედრა მოუწყვეს, როგორიც თავად მას, როცა მოსკოვიდან ოლიმპიური ოქროს მედლით დაბრუნდა.

არადა, იშვიათია ოლიმპიური გვირგვინოსანი, რომელსაც შეძგომ ასევე ოლიმპიური ჩემპიონი აღუზრდია, საქართველოში კი მსგავსი მხოლოდ შოთა ხაბარელი გახლავთ, ვინც თავის სამწვრთნელო ქურაში, ეტყობა, კიდევ არაერთ ჩემპიონს გამოაწრობს.

მანამ ჩვენი დიდი ფალავანი და მწვრთნელი თავის ალსაზრდელთა ახალ-ახალი გამარჯვებებით გაგვახარებს, გავიხსენოთ ის ოთხი დიდი სიხარული, რომლებმაც შოთა ხაბარელის ბიოგრაფიაში ყველაზე წარუმლელი კვალი დატოვა. მე მქონდა ბედნიერება, საკუთარი თვალით მენახა მისი შეგირდის, ზურაბ ზვიადაურის ათენური ტრიუმფი და შოთას უკიდეგანო ემოცია, მწვერვალ „საქართველოს ოლიმპიელის“ დალაშქრით გამოწვეული სიხარულის თანაზიარი კი სულაც თავად გახლდით, როგორც იმ ლაშქრობის მონაწილე.





სხვაც ბევრი დიდ-პატარა სიხარული იყო, რომლებმაც ქარელის რაიონის სოფელ ძლევისჯვარში დაბადებული ბიჭის ბიოგრაფია დაამშვენა და გაამდიდრა, რაზეც ეს წიგნი მოგვითხრობს.

1956 წლის 26 დეკემბერს იმ ბიჭის დაბადებამ, რაღა თქმა უნდა, მთელი ოჯახი გააბედნიერა. ძალზე ხარობდა პაპამისი, სარდიონ ხაბარელი, რომელსაც მთელს რაიონში უეპრო მოჭიდავის სახელი დაეგდო. განსაკუთრებით ის ახარებდა, რომ ბავშვი მას ჰგავდა და რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო პაპას ემსგავსებოდა. მთელი სოფელი ამბობდა, ამ ბავშვს სულ პაპის მანერები დაჲყვა და მასავით გამოჩენილი მოჭიდავე დადგებაო. ოლონდ მაშინ ქვეყანას მოვლენილ მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს, ტრადიციისამებრ, პაპის სახელი კი არა, ბიძამისისა — მეორე მსოფლიო ოში დაღუპული შოთა ხაბარელის სახელი დაარქვეს. რომ გაიზარდა, მეტად სიამოვნებდა, როცა ნათლობის სახელს — მამუკას ეძახდნენ, თუმცა მას უფრო შოთად იცნობენ.

პატარა შოთა თუ მამუკა, როგორც ყველა მისი კბილა თანასოფლელი, დილიდან საღამომდე დროს ნახერხმოყრილ ქართულ საჭიდაო წრეში ატარებდა. როცა იქ მკლავის ძალას უფროსები ცდიდნენ, მათ ყურებას არაფერი ერჩივნა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჭიდაობა ტრადიციული ზურნის ჭყვიტინითა და დოლის ბაგა-ბუგით მიმდინარეობდა. როცა ამგვარი ბრძოლების დასასარულს ფალავანი თავისი გამარჯვების ალსანიშნავად ნაჩუქარ ჭედილას ზურგზე შემოიგდებდა, შოთა ჩემპიონს შენატროდა და თავის მომავალ გამარჯვებებზე ოცნებობდა. პოდა, როგორც კი ის ნახერხმოყრილი საჭიდაო უფროსებისგან თავისუფლდებოდა, პატარა შოთა უმაღ იქ გადაეშვებოდა ხოლმე და თანატოლებთან ძიძგილაობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. მაშინ თანატოლებისგან არაფრით გამოირჩეოდა. პირიქით, მეტოქეები ხშირად ჯობნიდნენ, მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა, შოთას დამარცხება მით მეტად უჭირდათ და სასწორის პინა უკვე მის სასარგებლოდ იხრებოდა. მართალია, შოთას მოჭიდავედ გაზრდაში ოჯახის ყველა წევრი დაინტერესებული იყო, მაგრამ თავდაპირველად საამისოდ არავინ ზრუნავდა. ფიქრობდნენ, ჯერ ადრეაო, ბოლოს კი, სოფლის სკოლა რომ დაამთავრა, ერთ მშვენიერ

დღეს შოთას თავისმა უფროსმა ძმამ, ჯემალმა, რომელიც ასევე ჭიდაობით იყო გატაცებული და ძიუდოს სექციაში დაღიოდა, ხელი ჩასჭიდა და თავის მწვრთნელ გივი ზაუტაშვილს დარბაზში მიუყვანა.

ზაუტაშვილი შემდგომში ცნობილი და გამოცდილი მწვრთნელი გახდა. ქართულ ჭიდაობაში, სამბოსა და ძიუდოში ბევრი უებრო ფალავანი აღზარდა, რისთვისაც საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდებაც მიანიჭეს. ალლოიანი მწვრთნელის სახელი ჰქონდა დაგდებული, მაგრამ შოთა ხაბარელის პირველ შეფასებაში ეს გამოცდილი კაცი აშკარად შეცდა — შოთას ერთი ყასიდად შეხედა, მერე კი მის ძმას — ჯემალს მიუბრუნდა: ვერ დავიტოვებ, ჯგუფები უკვე დაკომპლექტებულ-შევსებული მაქვსო. შოთა შინ ყურებჩამოყრილი დაბრუნდა, მაგრამ გული არ გაუტეხია და ქართულ ჭიდაობაში სერიოზული ვარჯიში დაიწყო. სულ მალე მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა. ეს 1972 წელს იყო. მომდევნო წელსაც კვლავ ყველას აჯობა და აი, ზაუტაშვილმა მაშინ კი დაინახა მომავალი დიდი ჩემპიონი და გორის ბამბეულის კომბინატის დარბაზში თავის სექციაში იხმო, თან მოუბოდიშა, მაშინ, ეტყობა, კარგად ვერ დაგაკვირდიო.

— მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე შოთა ჩოჩიშვილის ბრწყინვალე გამარჯვებას ძიუდოში ახალი, ნიჭიერი თაობის დიდი ტალღა მოჰყვა, — იხსეხებს გივი ზაუტაშვილი, — მათ შორის იყო ჩემი ორი ყველაზე გამორჩეული აღსაზრდელი, თემურ ხუბულური და შოთა ხაბარელი. პირველმა მსოფლიოს, მეორემ კი ოლიმპიური ჩემპიონობით გამახარა, მაგრამ მაშინ, შოთა ხაბარელი პირველად რომ ვნახე, მის შეფასებაში ნამდვილად შევცდი. მეორედ რომ მოვიდა, პირველსავე ვარჯიშებზე დავინახე, რომ დიდი მონაცემები ჰქონდა. დავრწმუნდი, რომ მომავალი ჩემპიონი იყო და მისი ხელიდან გაშვება აღარ შეიძლებოდა. მართლაც, საოცარი მონდომებით დაიწყო ვარჯიში. თავისი სოფლიდან — ძლევის-ჯვრიდან გორამდე დარბაზში სავარჯიშოდ რომ მოეღწია, ჩანთამოკიდებულს ყოველდღე ოცი კილომეტრის გავლა უწევდა...

იმ დროს ზაუტაშვილთან ვარჯიშობდნენ მომავალი საბჭოთა კაც-შირის ჩემპიონი ბორის გოგიჩაიშვილი, ასევე მომავალი მსოფლიოს ორ-



გზის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი თემურ ხუბულური, შოთა ჩოჩიშვილი კი სულაც უკვე ოლიმპიური ჩემპიონი იყო.


— შოთა ჩოჩიშვილი ჩემი და ჩემი თანატოლების კერპი იყო. ყველანი მას ვბაძავდით და ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ვოცნებობდით. ჩოჩიშვილი იმ დროს ევროპის ჩემპიონატის პრიზიორიც იყო, მაგრამ მაშინ, 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებამ საყოველთაო გმირად აქცია. გორის ქუჩებში რომ გამოჩენდებოდა, ყველა მას შესცეროდა და ხალხი გუნდ-გუნდად დასდევდა. თან მხოლოდ ჩემპიონობით კი არა, გარეგნობითაც გამოირჩეოდა — მაღალი, ახოვანი, მხრებგანიერი, სიმპათიური და მომლიმარი აპოლონს ჰგავდა. ტატამზეც და ქუჩაშიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. და თუ რამეს მივაღწიე, ყოველივეს შოთა ჩოჩიშვილსაც ვუმადლი. მისმა ოლიმპიურმა ოქრომ მეც უდიდესი სტიმული მომცა, გაორმაგებული მონდომებით დავიწყე ვარჯიში და ოცნება რვა წლის მერე ავისრულე კიდეც, — გვითხრა შოთა ხაბარელმა, თუმცა თავისი ცხოვრების უდიდეს მიზნამდე ბევრი ოფლისლვრა და გრძელი გზა ელოდა. იმ გზას მაშინ დაადგა, როცა სოფლის საშუალო სკოლა დაამთავრა და გორში დაიწყო ვარჯიში, სულ მალე კი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწყიეს და როგორც პერსპექტიული სპორტსმენი, თბილისის არმიელთა სპორტკულუბში გაამწესეს, სადაც მას მწვრთნელად ჯემალ ნათელაშვილი დახვდა.

ჯემალ ნათელაშვილი იმ დროს ახალგაზრდა მწვრთნელი იყო და ამ საქმეში დიდი გამოცდილება არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ძალზე მონდომებული და აღლოიანი იყო, თანაც ყოფილი ძიუდისტი და სამბისტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, რომელიც ტატამზე მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა. 1968 წელს ლოზანაში გამართულ ძიუდისტთა ევროპის ჩემპიონატზე პირად და გუნდურ პირველობაშიც ვერცხლის მედლებს დაეუფლა; მანამდე, 1966 წელს სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატშიც მეორე პრიზიორი გახდა. როცა სხვათა დაოსტატებას მიჰყო ხელი, თავი უფრო გამოიჩინა, რისთვისაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს და ქართული სპორტის განვითარებისთვის ღირსების ორდენითაც დააჯილდოეს.




გივი ზაუტაშვილი:  
„მიუნხენის ოლიმპიურ  
თამაშებზე შოთა ჩოჩილვი-  
ლის ბრძყინვალე გამარ-  
ჯვებას ძიუდოში ახალი,  
ნიჭიერი თაობის დიდი  
ტალადა მოჰყვა. მათ შორის  
იყო ჩემი ორი ყველაზე  
გამორჩეული აღსაზრდე-  
ლი, თემურ ხუბულური და  
შოთა ხაბარელი. მირველ-  
ბა მსოფლიოს, მეორემ კი  
ოლიმპიური ჩემპიონობით  
გამახარ, მაგრამ მამინ,  
შოთა ხაბარელი მირვე-  
ლად რომ ვნახე, მის შეფა-  
სებაში ნამდვილად შევ-  
ცდი. მეორედ რომ მოვიდა,  
პირველსაც ვარჯებებზე  
დავინახე, რომ დიდი მონა-  
ცემები ჰქონდა.“







შოთა ხაბარელი  
არაერთხელ წარმატებით  
გამოსულა თბილისის  
ტრადიციულ  
საერთაშორისო  
ტურნირზე, რომელიც  
ერთ-ერთი ყველაზე  
პრესტიული შეჯიბრება  
იყო მსოფლიოში.



ჯემალ ნათელაშვილი:  
„შოთას განსაკუთრებით  
ემარჯვებოდა ერთი ილე-  
თი, ჩვენ რომ გარეუებს  
ვუწოდებთ. ძალან მაგ-  
რად აეთებდა და ძიუ-  
დოში ხშირად იყენებდა  
კიდეც. მეტოქეები ალდოს  
ვერ უდებდნენ. ბოლოს  
სხვებმაც აითვისეს და ახ-  
ლა ამ იღეთს მსოფლიოში  
ხაბარელის ფანდი ჰქონა.“



ეს ყველაფერი მერე იყო, მაშინ კი, არმიელთა სპორტკულუბში მისულ უტიტულო, მაგრამ მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს ათვალიერებდა. მართალია, ჯემალ ნათელაშვილს შოთა ხაბარელის ჭიდაობა მანამდეც ენასა, მაგრამ ახლა უკვე მწვრთნელის თვალით ზომავდა და წონიდა ძლევისჯვარელი ბიჭის პერსპექტივებს.

– მაშინ შოთა ჩემთან რომ მოვიდა, ერთი ჩვეულებრივი, გამხდარი სოფლელი ბიჭი იყო, ოღონდ ფიზიკურად ტოლს არავის უდებდა. პირიქით, უკვე საკმაოდ ძლიერი, მოქნილი და სხარტი იყო, თანაც ძალიან დამჯერი, უწესიერესი და მშრომელი. შოთას ჭიდაობა პირველად ხაშურის რაიონის სოფელ ნაცარგორის ნახერხმოყრილ სარბიელზე ვნახე. ქართულ ჭიდაობაში მოსწავლეთა პირველობაზე გამოდიოდა და ციბრუტივით ტრიალებდა. ვიფიქრე, მისგან კარგი მოჭიდავე დადგება-მეთქი და როცა არმიელთა კლუბში ჩემთან მოვიდა, ძალიან გამიხარდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ჩოხიანი ჭიდაობისთვის იყო დაბადებული. იმ დროს სამბისტები და ძიუდიოსტები ჩვენთან ჯერ კიდევ მკვეთრად გამიჯნულები არ იყვნენ და ასეთი სპეციალიზაცია ის-ის იყო იწყებოდა. ამიტომ ჩოხიანი მოჭიდავები, სადაც საჭირო იყო, იქ გამოდიოდნენ. ხან ქართულ ჭიდაობაში ცდიდნენ ძალას, ხანაც სამბოში თუ ძიუდოში. შოთაც ასე იყო, მერე კი მთლიანად ძიუდოში გადაერთო, თუმცა მერე, ამ სახეობაში თითქმის ყველა უმაღლესი ტიტული რომ მოიპოვა, ქართულ ჭიდაობაში საქართველოს უძლიერესი ფალავნის სახელიც დაისაკუთრა. განსაკუთრებით ემარჯვებოდა ერთი ილეთი, ჩვენ რომ გარეფეხს ვუწოდებთ. ძალიან მაგრად აკეთებდა და ძიუდოში ხშირად იყენებდა კიდეც. მეტოქეები ალლოს ვერ უღებდნენ. ბოლოს სხვებმაც აითვისეს და ახლა ამ ილეთს მსოფლიოში ხაბარელის ფანდი ჰქვია.

სულ მალე, 1979 წელს, შოთა ხაბარელმა თავისი მწვრთნელი პირველად გაახარა საერთაშორისო სარბიელზე, როცა ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს დაეუფლა, გუნდურ პირველობაში კი ოქრო დაისაკუთრა. ამ წარმატებისთვის, როგორც არმიელ სპორტსმენს, საბჭოთა ტრადიციისამებრ სამხედრო ჩინი უბოძეს და კაცი ლეიტენანტი გახდა.



დიდ საერთაშორის ტურნირებზე მოპოვებული ყოველი მედლისთვის სამხედრო ჩინიც მატულობდა და როცა აქტიურ სპორტს ოლიმპიური ოქტომბრის მედლით, მსოფლიოს ჩემპიონატის პრინჯაოს, ევროპის პირველობათა სამივე ხარისხის ცხრა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების რვა მედლით, ქართულ ჭიდაობაში აბსოლუტური ფალავნის სახელით და კიდევ სხვა მრავალი გამარჯვებით გამოეთხოვა, შოთა ხაბარელი უკვე პოდპოლკოვნიკი იყო.

\* \* \*


— შოთას ჭიდაობას ჩვენი ქორწინების მერე, 1982 წლიდან ვადევნებდი თვალ-ყურს, — იხსენებს ჩემპიონის მეუღლე მანონი სიხარულიძე, — სხვათა შორის, ერთმანეთი ჩვენი მეგობრების ქორწილში გავიცანით. თავდაპირველად ყურადღება საერთოდ არ მიმიქცევია, მაგრამ ერთი ჩემი მეგობარი მოვიდა და მეკითხება, თუ იცი, ეგ ბიჭი ვინ არის, შენს პირდაპირ რომ ზისო. მხრები ავიჩეჩე და ეგ ოლიმპიური ჩემპიონია ძიუდოში, შოთა ხაბარელიო. შევხედე და, პირველი მთაბეჭდილება, რომელიც მეგობარს გავუზიარე, ეს იყო, მართლა მოჭიდავეს ჰეგავს, რა ძლიერი კისერი აქვს-მეთქი. იმ წელინადს ვიქორწინეთ კიდეც. მაშინ მეორეკურსელი სტუდენტი ვიყავი, სამედიცინო ინსტიტუტში, პედიატრიულზე ვსწავლობდი. ქორწინების მერე მთლიანად ძიუდოში ჩავერთე და ჩემი ვნებათალელვაც დაიწყო. 1982 წლიდან მოყოლებული, თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირებზე შოთას ყველა ჭიდაობა ვნახეს. განსაკუთრებით დამამახსოვრდა შოთას გამარჯვება ვარაევთან. ვერც კი გავარჩიე, რა გაუკეთა — ელვისებურად წამოიკიდა, ამოაყირავა, ტატამზე დაახეთქა და წმინდად გაიმარჯვა. სულ მეჩვენებოდა, რომ იოლად, თამაშ-თამაშით უგებდა მეტოქეებს, მაგრამ მალე მივხვდი, თუ რა არაადამიანური, მართლაც ტიტანური შრომისა და ჯაფის შედეგად მოდიოდა ეს გამარჯვებები. მისი დღის რეჟიმის, განცდებისა და მონდომების შემხედვარე მეც ვიტანჯებოდი, განსაკუთრებით მაშინ, როცა წონას იკლებდა. უთენია წამოხტებოდა ხოლმე, გავარდებოდა და სირბილით თავს იკლავდა. ვარჯიშიდან შინ მობრუნებული შეფუთნული

Եզեծողաց, մյ կո ռոյլուս ցամոսացենագ սածնեծս ցատարեծոց. տան ալարց ჭամճա դա ալարց սպամճա. յրտագյրտո սակցեծս Շազո եթոլալա ոյս. որ- ցանիթմո րոմ ար ցամոցութազոց դա դասուստը ծովուլուս, սուտրուս կոցնուտ յոլորոծուտ ցեալյեծոց. եթոլալուս ցացոնցեծս ալար յնժոց դա, յթութե- ծոց, մացրամ մանց ჭամճա.

այստո արագամիանցորո քանչցուս սածնայրո ուս ցամարչցեծոց ոյս, րոմլուտաց տացաձաց եարոծոց, մեց մասեարեծոց դա ցուլշեմաթկովրեծ- սաց. Ցոցջեր ամ նարմագյեծեծս քրազմորեծուլո դա մძոմեց դամացեծուլուց ալթեց դա. ամ մերու ցացալանց մերագ դամամասուրոց 1983 նլուս Շեմոց- ցոմա. ցու- ցութեց մթօնօրարոծաս ցելոց դո, մթոտ կո մոսկոցշո ցասամար- տո մսոցլուս հյեմթոննագյուտուս ցամալյեծուլո յմթացեծոց դա ամ դրու յշուլո ցակիրա. սամինելու քրոլուծուդան սուսելու տյրուալուտ մոսցուոց դա նակյուցո դաացյ. դարճուտ ալար ոյս ցացո, մսոցլուս հյեմթոննագթց ցելար ցամոցալո. ամաս արց արացոն յորհեց դա, մացրամ ոմ հյեմթոննագթց մանց նացուդա...

— սարծուցուց րոմ ցացեցո, յշուլուց ուսց ժայցեծո մեցո, — տերո- ծաս ացրեցլուց մթոտ եածարելո, — յս րոմ Շեջուծուրեծուս որցանութագո- րեծս ցացոտ, հյեմթոննագյուդան յմթալ մոմեսենունցն. ամութոմ Շեխցուլո ցեեսուտ ցոծրոցոց դա ցամծոծոց, յծրալուց ցայանրուլո մայզս-մետյո. տան ցեես ցուցուրտեօլուցոց դա ցուցուրտեօլու ար դամերուրտա. այս ցալու ցեեսուտ ծրմոլամու մանց ծրնջառուս մեցուոց մոպոցեծս Շեցելո. Ցուստաց ցացամնցուցու ծրմոլուս նոն, մեթոյս էուրուսպուր րոմ դացու- յո, դարձածմու րացուոտո ցամուցեացես, մթոտ եածարելու ցուց ցայոմ- ցուլու Շեցոնա դա ցուլուցացտո. սաթագ դացրի, յս ամեացո մյ ար ցուց դա ամատ սաօճան ցացես-մետյո. մտելու դարձածու ցեենց նամոցցա դա ցայոմցուլուս դաձացեծս բաժուս ցրուալուտ մոմուուց. ծեցնոյրեծուսա- ցան ցաս ցենց. ծրմոլուսաս ալարց քրոլուսա մասեսուց դա ալարց ցու- եսու քոյզուլո. սուլ մալու դարձածու ուսց ցեենց նամոցցա դա աելա յաց ծրնջառուս մեցալու մոմուուց. ամութոմ յս ցուց, 1983 նլուս 13 ոյթոմ- ծերու հյեմտցուս դացունցարու.

ոլոնցաց, սուսանրուլուտան յրտագ ոյս ցանծուլուց դա ցուլուստկովուլուց.



შოთა ხაბარელი  
ჩემპიონის კვარცხლბეჭებულებები



ქართველმა მოჭიდავეებმა  
და მწერთნელებმა  
ოლიმპიური ჩემპიონი  
ჰაერში აიტაცეს



— ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში ყველაზე ცუდად მოსაგონარი 1979 წლის პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, — იხსენებს შოთა ხაბარელი. — ამ შეჯიბრებისთვის ყველაზე კარგად ვიყავი მომზადებული. იმაზე უკეთესადაც კი, ვიდრე მაშინ, როცა ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ფინალში გავიდოდი, იქ კი იაპონელ ფუძის უთუოდ მოვუგებდი. ფუძი იმ დროს უკვე მსოფლიოს ოთხზის ჩემპიონი იყო, მაგრამ სპორტული კარიერის დასასრულთან იდგა, მე კი გაცილებით ახალგაზრდა და ენერგიით აღსავსე ვიყავი, გამარჯვებები მწყუროდა, მაგრამ მოულოდნებლად დავმარცხდი, თუმცა ჩემს მეტოქეს ცოტა მსაჯებიც წაეხმარნენ და ამით ფუძის ჩემი თავი აარიდეს. არადა, ცნობილი და ძლიერი მეტოქე სულაც არ მყავდა. გვარიც კი არ მახსოვს. ამერიკელი იყო, იქაური ძიუდოისტები კი სხვებივით ვერ ყოჩალობდნენ. მთელი შეხვედრის განმავლობაში იოლად ვუგებდი და ძალებს მომდევნო ბრძოლებისთვის ვზოგავდი. ბრძოლის დამთავრებამდე 20 წამით ადრე, როგორდაც მოვეშვი და იუკოზე დავვარდი, ეს ჩემს დამარცხებას სულაც არ ნიშნავდა, მაგრამ მსაჯებმა ის გდება ამერიკელს იპონად შეუფასეს. ამერიკელმა მომდევნო შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, წააგო და მე ბრინჯაოსთვის ბრძოლის გაგრძელების შანსიც კი აღარ მომეცა.

შოთა ხაბარელი კარგად არც თავის ბოლო შეჯიბრებას, 1986 წელს მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს იხსენებს, სადაც ტრავმის გამო ბრძოლის დამთავრების საშუალება აღარ მიეცა, უფრო სწორედ ექიმმა აღარ აცალა.

— გარაევს ვხვდებოდი. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ძალიან პერსპექტიული იყო და შემდგომ მართლაც დიდი ძიუდოისტი დადგა, მანამდე კი სულ ფეხდაფეხ მომყვებოდა და ერთმანეთს ფინალურ ბრძოლებში ხუთჯერ შევხვდით, მაგრამ ჩემთან ვერას გახდა. იმ წელიწადს ჩვენი გზები მეორე წრეში შეიყარა. მთელი ჩემი სპორტული კარიერის განმავლობაში მუხლი როგორლაც მეჭედებოდა და ტკივილი მანუხებდა. ოპერაცია მხოლოდ 49 წლისამ გავიკეთე, მაშინ კი ბრძოლისას ფეხის გვერდზე გადაბრუნებით მუხლს თავის კალაპოტში ვსვამდი. იმ ბრძოლის დროსაც, ვარაევთან შეხვედრისას, მუხლი გამეჭედა. იმხანად სარ-

ბიელზე ექიმის შემოსვლა ახალი ნებადართული იყო და ისიც, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, ბრძოლის შეწყვეტის უფლებაც ჰქონდა. პოდა, ექიმი უმაღლ სარბიელზე შემოვიდა, ჩემებურად მკურნალობა აღარ მაცალა და შეჯიბრებიდან მომხსნა. იმ დროს უკვე აქტიურ სპორტთან გამოთხოვებაზე ვფიქრობდი, ამ ამბავმა კი გადაწყვეტილების მიღებაში ცოტა და-მაჩქარა და აი, ასე, ბოლო ბრძოლის დაუსრულებლად ჭიდაობას გამოვეთხოვე.

\* \* \*

თბილისში დაბრუნებულ შოთა ხაბარელს სპორტის სასახლეში გა-მართულ ჩვენს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნიზე საზეიმო გაცი-ლება მოუწყვეს. ძველმა თანაგუნდელებმა, მსოფლიოს ჩემპიონატების მომავალმა მედალოსნებმა აკაკი კიბორძალიძემ და კობა კურტანიძემ, რომლებმაც ის-ის იყო დიდ სარბიელზე გასვლა დაიწყეს, თავიანთი კერ-პი შოთა ხაბარელი მხრებზე შეისვეს და სპორტის სასახლის თაღებქვეშ ფეხზე წამომდგარი გულშემატკივრების ტაშის გრიალში შემოატარეს.

თუმცა ეს ყველაფერი ცოტა მოგვიანებით იყო, მაშინ კი თავისი ბო-ლო შეჯიბრებიდან ათას ბრძოლაგამოვლილი შოთა ხაბარელი მოსკო-ვიდან თბილისში რომ ბრუნდებოდა, თვითმფრინავის სავარდელში ისე იჯდა, როგორც მთელი წლის ნაჯაფარი გლეხი კაცი, რომელმაც ბოლოს მოსავალიც დააბინავა და ხანგრძლივი ზამთრის მოლოდინში წვრილ-შვილთან ბუხრის პირას ჯდომისათვის განეწყო. ფიქრობდა, მთელ წე-ლინადს დავისვენებ, ოჯახს და ცოლ-შვილს დანატრებული შინ ვიჯდე-ბი, მერე კი მშვიდად მოვიფიქრებ, სად წავიდე, რომელ გზას დავადგეო. ჯიბეში საქართველოს ფიზიულტურის ინსტიტუტის დიპლომიც ედო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაც, რომლებიც სპორტული კა-რიერის პარალელურად ერთიმეორის მიყოლებით დაამთავრა. თანაც კაცი იმ დროს უკვე პოდპოლკოვნიკიც იყო და საფიქრალს ეს სამხედრო ჩინიც ურთულებდა, მაგრამ გული უფრო მაინც იურისტობისკენ მიუ-ნევდა, მაგრამ ვინ აცალა...




შინ დაბრუნებული შოთა ხაბარელი საქართველოს მაშინდელი სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ ენდელაძემ დაიბარა, ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი უნდა ჩაიბაროო. მართლა, ძალზე მაცდური წინადადება იყო. კაცს სამწვრთნელო სარბიელზე საკუთარი თავის გამოცდის საშუალება ეძლეოდა, მაგრამ ეს მეტად საპასუხისმგებლო და სარისკო საქმე ჩანდა. იმ დროს ძიუდოს ქართულმა სკოლამ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ბიძინა მაზიაშვილის მეთაურობით უკვე მთელს მსოფლიოში გაითქვა სახელი. გარდა იმისა, რომ ეს კაცი მრავალი წლის განმავლობაში (1964-82 წწ.) საქართველოს ნაკრების მთავარი დამრიგებელი იყო და საბჭოთა გუნდის მწვრთნელიც, უმუალოდ მისი აღზრდილებიც უდიდეს წარმატებებს აღწევდნენ როგორც ძიუდოში, ისე სამბობში. მათ შორის იყვნენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის ჩემპიონ-პრიზიორები: გურამ გოგოლაური, ანზორ მარტყოფლიშვილი, ამირან მუზაევი, ჯიბილი ნიუარაძე, გივი ონაშვილი, რამაზ ხარშილაძე, ფარნაოზ ჩიკვილაძე, მალხაზ ბერუაშვილი, გენადი გიორგაძე...

ბიძინა მაზიაშვილის უდიდესი აღიარება ისიც იყო, რომ მას მრავალ ქვეყანაში, მათ შორის თვით ძიუდოს სამშობლოშიც კი, გამოცდილების გასაზიარებლად იწვევდნენ და ჭკუას ეკითხებოდნენ.

აი, ამიტომაც შოთა ხაბარელი ნუგზარ ენდელაძის მოულოდნელი წინადადების გამო, უდიდესი დილემის წინაშე დადგა.

— ეს რომ გავიგე, ლამის გული შემიღონდა, — იხსენებს შოთას მეუღლე, — ჩვენი ქორწინების ხუთი წლის განმავლობაში კაცს ზედიზედ ხუთი კვირაც კი არ გაუტარებია შინ. სულ შეკრებებზე იყო და ქვეყნიდან ქვეყანაში შეჯიბრებებზე დადიოდა. ამიტომ თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირების მოახლოება ყველაზე მეტად მიხაროდა, რადგან აქ შინაურ კედლებში ემზადებოდა და დროს ოჯახში ატარებდა, თუმცა მის არაადამიანურ შრომას უკვე საკუთარი თვალით ვუყურებდი. ამიტომ როცა მოსკოვიდან დაბრუნებულმა მითხრა, მორჩა, სპორტს თავს ვანებებო, შვებით ამოვისუნთქე, თუმცა გულიც მწყდებოდა, რადგან ჭიდაობას მისთვის დიდი სიხარული მოჰკონდა...



ოლიმპიური ფინალი —  
შოთა ხაბარელი და  
კუბელი ხუან ფერერი.  
მოსკოვი, 1980 წელი



შოთა ხაბარელი  
ოლიმპიური ჩემპიონია!

ჰოდა, დადგა კაცი დილემის წინაშე — აქეთ ოჯახი ექაჩებოდა, იქით — ნუგზარ ენდელაძე. ბოლოს ენდელაძემ იძალა და 1986 წლიდან შოთა საბარელმა ასე ჩაიბარა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები.

— ნუგზარ ენდელაძის შეგულიანების მერე საკუთარი თავის გამოცდის ცდუნებას ვეღარ გავუძელი. ეს ნაბიჯი იმანაც გადამადგმევინა, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში თერთმეტი წლის განმავლობაში, რაღა თქმა უნდა, ძიუდოს არსი და სპეციფიკა შევისწავლე. მართალია, ერთია სპორტსმენობა და სულ სხვა — მწვრთნელობა. ამიტომაცაა, რომ ყველა კარგი სპორტსმენი კარგი მწვრთნელი ვეღარ დგება, მაგრამ მე ათასი სპეციალისტის ხელში გავიარე აქ, საქართველოში თუ საბჭოთა ნაკრებში, რომელსაც მთელს მსოფლიოში ძიუდოისტთა სამჭედლოს ერთ-ერთი საუკეთესო სკოლის სახელი დაეგდო. რამდენადაც შესაძლებელი იყო, ვაკვირდებოდი უცხოელ მწვრთნელებსაც და ყველასგან რაღაცას ვსწავლობდი. ცოდნის გაღრმავებაში ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლაც დამეხმარა და ყოველივე ამან ტატამზე მწვრთნელად დამაბრუნა, თუმცა მაშინ ცდუნებისთვის რომ გამეძლო, დღეს ალბათ მეორე პროფესიაში — იურისპრუდენციაში ვიქნებოდი...

შოთა საბარელის ტატამზე საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაბრუნებას ქართველ ძიუდოისტთა ნარმატებების ახალი ტალღა მოჰყევა. ეს ტალღა ცუნამივით მოდიოდა და მას წინ ვერავინ და ვეღარაფერი უდგებოდა. ყველა ასაკობრივ ჯგუფში მედლების ცვენა იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა 1989 წელს ბელგრადში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ოთხი ქართველი ძიუდოისტი გამოდიოდა და ოთხივემ მედალი მოიპოვა: კობა კურტანიძე და ამირან ტოტიკაშვილი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, აკაკი კიბორძალიძემ ვერცხლის, გიორგი თენაძემ კი ბრინჯაოს მედალი აიღო. ამათგან ტოტიკაშვილი უშუალოდ შოთა საბარელის აღსაზრდელი იყო. იმავე წელს კურტანიძე და ტოტიკაშვილი ევროპის ჩემპიონებიც გახდნენ.

გამორჩეული იყო 1991 წელიც, როცა საბჭოთა კავშირის ხალხთა X სპარტაკიადა და საკავშირო ჩემპიონატი პარალელურად ჩატარდა, სა-



ლეგენდარული იაპონელი  
მძიმებონისანი იაუჰირო  
იამასიტა, შოთა ხაბარელი  
და მსოფლიოს  
ორგზის ჩემპიონი  
თემურ ხუბულური

ქართველოს ძიუდოისტებმა კი საერთო ჯამში თექვსმეტი მედალი მოიპოვეს.

ეს სპარტაკიადა იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ საბჭოთა კავშირის რღვევის გამო იგი დაუმთავრებელი დარჩა. საქართველო-დან შეჯიბრებაში გამოსვლა მხოლოდ ძიუდოისტებმა მოასწრეს, მათ კი სპარტაკიადების ისტორიას პირად პირველობაში ოთხი თერთოს მედლითა და გუნდურ პირველობაში გამარჯვებით საბოლოო წერტილი დაუსვეს.

უცნაურია, მაგრამ სულ მალე წერტილი დაუსვეს შოთა ხაბარელის უფროს მწვრთნელობასაც. ამას მოჰყვა ძიუდოს, ისე როგორც საერ-

თოდ ქართული სპორტისა და მთლიანად ქვეყნის გაუსაძლისი წლები, დაღმასვლა და უფსკრულის პირას ყოფნა.

საქართველოს სპორტული დელეგაციისთვის ძალზე წარუმატებელი გამოდგა ატლანტის ოლიმპიური თამაშები, საიდანაც პირველად ამგვარ ასპარეზობათა ისტორიაში, ჩვენი სპორტსმენები „ოქრო-ვერცხლის“ გარეშე დაბრუნდნენ. და მაინც, შედარებით უკეთ ძიუდოისტები გამოვიდნენ, რომლებმაც საერთო ჯამში ორიდან ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, თანაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ჯილდო სწორედ მათ დაისაკუთრეს — სოსო ლიპარტელიანი ოლიმპიური პრიზიორი გახდა.

\* \* \*

იმ პერიოდში ძიუდოს მიღმა დარჩენილი შოთა ხაბარელი თბილისში დაარსებულ უნივერსიტეტ „ლეგია და კომპანიაში“ პრორექტორად მიინვიეს და კათედრის ხელმძღვანელობაც ანდეს; გახდა პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ძიუდოისტებს კი „შორიდან“ გულშემატკივრობდა. არადა, ტატამს მიღმა დარჩენილ შოთა ხაბარელს მრავალ ქვეყანაში იწვევდნენ, ჩამოდი, ჩვენი ქვეყნის ნაკრები ჩაიბარე და უხელმძღვანელეო. ერთმანეთზე მაცდური წინადადებები იყო და შოთაც ფიქრობდა, ხუთუ საქართველოდან სხვებივით ჩემი ნასვლის დროც დადგა, ან ამ ნაბიჯს ვინ როგორ გაიგებსო, თუმცა იმედს მაინც არ კარგავდა. ამასობაში, ატლანტის ოლიმპიურმა თამაშებმაც ჩაიარა და...

— ატლანტის ოლიმპიური თამაშების მერე, ახლა უკვე საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანმა დამიბარა. ჩვენზე ნაწყენი კი ხარ, მაგრამ ძიუდოისტთა ნაკრებს ისევ შენ უნდა ჩაუდგე სათავეშიო. ასე დავუბრუნდი გუნდს და ორი წლის მერე შედეგებიც მოვიდა...

მართლაც, საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ჩვენი ქვეყნის ძიუდოისტთა ნაკრებმა ყველაზე დიდი სიხარული განგვაცდევინა. ათენის ოლიმპიურ თამაშებზე შოთა ხაბარელის ალსაზრდელმა ნესტორ



ხერგიანმა, როგორც უურნალისტები ხუმრობდნენ, თავისი ვერცხლის მედლით ბრინჯაოს ხანიდან გამოგვიყვანა, მერე კი მთავარი მწვრთნელის მეორე შეგირდმა ზურაბ ზვიადაურმა ოქროს ხანაში დაგვაბრუნა.


ამას მოჰყვა 2002 წელს ევროპის გუნდურ ჩემპიონატში ბეჭდის პირველი ცდა, რაც გამარჯვებითა და სრული ტრიუმფით დაგვირგვინდა. გუნდმა მომდევნო წელსაც თასი დაისაკუთრა, იმავე წელს კი მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში მეორე იყო. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე იყო სხვა ბევრი ოქრო-ვერცხლიც... ყოველივე ამის გამო საქართველოს სპორტულ უურნალისტთა რეფერენდუმის შედეგად საქართველოს ძიუდოსტინაცია საუკეთესოდ აღიარა და სრულიად მოულოდნელად შოთა ხაბარელს ნაკრებიდან ნასვლა დაუპირეს.

— ათენის ოლიმპიური თამაშებიდან დაბრუნებული, როცა პრაქტიკულად ტიტული აღარ დაგვრჩა აულებელი, გმირად გამომაცხადეს და ლამის ღმერთკაცად შემრაცხეს, მომდევნო წელს კი ერთი წაბორძიკება და, გუნდიდან უნდა ნახვიდეო. ეს ჩემთვის ტრაგედია იყო. ჩემი სპორტული კარიერიდან ყველაზე მნარედ 1979 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი დამამახსოვრდა, სამწვრთნელო ცხოვრებიდან ასეთივე ცუდად მოსაგონარი კი სწორედ 2005 წელი გამოდგა.

— როცა საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელობიდან შოთას გადაყენებაზე აქა-იქ საუბარი დაიწყეს, ყურებს არ ვუჯერებდი, — იხსენებს შოთა ხაბარელის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული აღსაზრდელი, ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის პრიზიორი ზურაბ ზვიადაური, — შოთა ხაბარელი თავის დროზე პრწყინვალე სპორტსმენი იყო, მერე ასეთივე მწვრთნელი გახდა. იგი, როგორც პიროვნება, ასევე გამორჩეული და მისაბაძია. გუნდის თითოეული წევრისთვის მშობელივითაა და ყველას თავზე დაპოვთოფინებს.

ზურაბ ზვიადაურს კვერს უკრავს ჯემალ ნათელაშვილიც. ამბობს, შოთა ხაბარელი სამეგობროდ უბრნებინვალესი, გვერდში მდგომი კაცი






კუსტბაზე



შოთა ხაბარელმა  
რამდენიმე წუთის წინ  
მსოფლიო ჩემპიონატის  
ბრინჯაოს მედალი  
მოიგო და ახლა  
ქართველი სპორტული  
უზრნალისტების  
კითხვებს პასუხობს.  
მოსკოვი, 1983 წელი

და მაგარი სპეციალისტიაო. იმასაც იხსენებს, ევროპაში თუ სადმე ძიუდოს პრობლემებზე მსჯელობენ, ისე როგორ იქნება, ხაბარელს არ უხმონ და ჭკუას არ დაეკითხონო. ვარჯიშზე შოთას ტატამს მიღმა ვერ ნახავთ, მუდამ კიმონო აცვია, ტატამზე ციბრუტივით ტრიალებს და ყველას თვალნათლივ უჩვენებს ნაირგვარ ფანდებს და ილეთებს. კოლეგიალურია, ერთმანეთს ყურს ვუგდებთ და ვუჯერებთ. ამიტომაც გვაქვს ასეთი ნარმატებებიო.

— ის სეზონი ისეთი მართლაც ვერ გამოდგა, როგორიც ქართველ ძიუდოისტებს გვეკადრებოდა. 2005 წელს სხვებივით მეც მეტს ველოდი, მაგრამ ის შედარებითი ნარუმატებლობა ალბათ კანონზომიერი იყო. აღმართს დაღმართი მოჰყვება, ნარმატებებს — ნარუმატებლობა. ოლიმპიური თამაშების მომდევნო წელს სპორტსმენებს შედარებით უფერული სეზონი უდგებათ და გამონაკლისები არც ჩვენ ვიყავით. მსოფლიოს ჩემპიონატის გუნდურ პირველობაში დაკავებული მესამე ადგილი და პირადშიც ერთი ბრინჯაოს მედალი ბევრისოვის დიდი ნარმატებაა, ჩვენგან კი მეტს ელოდნენ. ზოგმა სპეციალისტმა ეს დიდ ნარუმატებლობად აღიქვა, მათ ძიუდოს ზოგმა „მცოდნებაც“ მხარი აუბა, ბევრმა დაივიწყა ძიუდოისტთა ნარმატებები, ის სიხარული, რომელიც მათ გულშემატ-



მსაჯის ნაცნობი უესტი —  
გაიმარჯვა შოთა ხაბარელმა

კივრებს მოუტანეს. ამიტომ იმგვარი შეფასებები ჩემი ტრაგედია იყო, რასაც ძალზე მტკიცნეულად განვიცდიდი. მაგრამ ტრაგედია ისაა, როცა გუნდი დანგრეული და უპერსპექტივოა. სამწუხაროდ, ასეთი დროებაც გვახსოვს, ახლა კი ჩვენი ნაკრები მყარად დგას ფეხზე. „ძიუდო ხვალ ახალ სახელებს გვპირდება!“

ძიუდო ხვალ ახალ სახელებს გვპირდებაო — ეს უკვე საქართველოს ძიუდოისტებისადმი მიძღვნილი ჰიმნიდანაა.

ამ ჰიმნის შექმნის იდეა შოთა ხაბარელის მეუღლეს ათენური ოლიმპიური წარმატებების მერე დაებადა. იფიქრა, ფეხბურთელებს თუ თავიანთი ჰიმნი აქვთ, რატომ არ შეიძლება ჩვენს ძიუდოისტებსაც ჰქონდეთო. მერე თავის ნაცნობ-მეგობარ კომპოზიტორებს, მუსიკოსებსა და მომღერლებს დაუკავშირდა. მათ ეს იდეა უმაღ აიტაცეს და კომპოზიტორ ბორის შხიანის ავტორობითა და ტელეკამბანია „იმედის“ დახმარებით შეიქმნა ჰიმნი საქართველოს ძიუდოისტებზე, როგორც მათი ერთიანობისა და მომავალ გამარჯვებათა სიმბოლო, რაც პარიზულ გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში ჩვენი ბიჭების ტრიუმფით დაგვირგვინდა.

ქართველ ძიუდოისტთა ამ სადიდებელ სიმღერაში, პროფესიონალ მომღერლებთან ერთად, თავიანთი სოლო გამოსვლები აქვთ ჩვენს ოლიმპიურ ტრიუმფატორებს, ზურაბ ზევიადაურსა და შოთა ხაბარელს. სწორედ ჰიმნის საპრეზენტაციო ჩანაწერიდან გაისმის შოთა ხაბარელის სოლო გამოსვლა: „ძიუდო ხვალ ახალ სახელებს გვპირდება!“

ასე რომ, წინ კიდევ არაერთი გვირგვინია.

\* \* \*

შოთა ხაბარელის სპორტული ცხოვრების აპოთეოზი მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვება იყო. მაშინ ჩვენი ძიუდოისტი საბჭოთა დედაქალაქში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორისა და გუნდურ პირველობაში გამარჯვებულის რანგში ჩავიდა. იქ გამგზავრებამდე შოთა ხაბარელმა ყველა მოსამზადებელი ეტაპი, როგორც თავად იხსენებს, ბრწყინვალედ გაიარა. შეჯიბრებებზე თუ შეკრებებზე საბჭო-



თა ნაკრების კანდიდატებს ერთიმეორის მიყოლებით ამარცხებდა და თავის წონაში (78 კგ) გუნდის პირველ ნომრადაც ითვლებოდა, მაგრამ ამ დიდ სტარტებამდე სულ რაღაც ორიოდე კვირით ადრე შოთას ოლიმპიურ იმედებს სრულიად მოულოდნელად წყალი შეუდგა. ნაკრების ხელმძღვანელობამ ჩვენს ძიუდოისტს ალექსანდრ ვოლოსოვი ამჯობინა.

— ალექსანდრ ვოლოსოვს ტატამზე რამდენჯერმე შევხვდი და ყოველი ბრძოლა ჩემი გამარჯვებით დასრულდა, — იხსენებს შოთა ხაბარელი, — ამიტომ მშვიდად ვიყავი და თავი ქუდში მეგონა. ვოლოსოვი 1978 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული იყო, ოლონდ ზედა წონაში, ოლიმპიურ სეზონში კი ჩემს წონაში გადმოინაცვლა, მაგრამ ვერც ერთი ბრძოლა ვერ მომიგო. ამიტომაც ნაკრების ხელმძღვანელთა არჩევანმა თავზარი დამცა. ეს ამბავი საქართველოს სპორტული ხელმძღვანელობისთვისაც მონიტორი ცაზე მესის გავარდნას ჰქონდა. საქმეში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიც ჩაერია და ლამის პოლიტიკური სკანდალიც აგორდა. ბოლოს მოსკოვში უკან დაიხიეს და, ხაბარელი თუ მართლაც ასე ძლიერია, კიდევ ერთი საკონტროლო ჭიდაობა დავნიშნოთ და იქ გამარჯვებულმა ოლიმპიურ ტატამზე იბრძოლოსო. ასეც მოიქცნენ და ჩემი სიძლიერის დამტკიცება კიდევ ერთხელ მომიხდა. რაკი მე და ვოლოსოვმა ერთმანეთის ჭიდაობა საკუთარი ხუთი თითოვით ვიცოდით, ილეთების ფეიერვერკი არ გამოგვიყიდა და მინიმალური უპირატესობით გავიმარჯვე, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, უკვე საკმარისი იყო გუნდში ჩემს დასაყენებლად.

— ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო, — იხსენებს ჯემალ ნათელაშვილი, — ხაბარელი ვოლოსოვს შეჯიბრებებზე მუდამ ჯაბნიდა, მაგრამ საოლიმპიადოდ მათ შორის მაინც სამი საკონტროლო ბრძოლა გამართეს, თითქოს ერთი საკმარისი არ იყო. კაცი ძიუდოში ვბერდები და მსგავსი რამ არ მახსოვს. ოლონდ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, თითქოს საბჭოთა ნაკრების მწვრთნელები ქართველებს გვჩაგრავდნენ. პირიქით, ბევრი მათგანი ძალზე გვაფასებდა. მაგალითად, ვიაჩესლავ ანდრეევი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში საბჭოთა ნაკრების მწვრთნელთა შორის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო, ქართველ ძიუ-



შოთა ხაბარელი:

„გამარჯვების მერე ბეჭ-  
ნიერებისგან თვალს რუ-  
ლი აღარ ეკარებოდა. ფი-  
ნალური, ბრძოლის თითო-  
ეულ დეტალს ვიხსენებდი  
და ჩემს წარმოსახვაში  
ისევ ვჭიდაობდი. საქარ-  
თველოში დაბრუნების  
მერე ზეიმი მთელ თვეს  
გაგრძელდა. ყველას ჩემ-  
თან ყოფნა უნდოდა და  
ყველა შინ მეპატიურებოდა.  
უამრავ ოფიციალურ და  
არაოფიციალურ შეხვედ-  
რას მიმართავდნენ. მაშინ  
ვიგრძენი, რომ საქარ-  
თველოსთვის მეც რაღაც  
გავაკეთე“



მწერთანელის ამპლუაში

დოისტებში დიდ პოტენციას ხედავდა და მუდამ მხარს გვიჭერდა. ასე იყო მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდშიც. ან-დრეევს შოთა ხაბარელისა სჯეროდა და ეიმედებოდა, მაგრამ ყველა ასე როდი ფიქრობდა.

ასე იყო თუ ისე, ბოლო საკონტროლო შეხვედრა პოდოლსკში მოეწყო. მსაჯად რიგელი იან რუდიტისი მოინვიეს. მე და რუდიტისი საბჭოთა კავშირის ნაკრებში ერთად გამოვდიოდით. თანატოლები ვიყავით და ვმეგობრობდით კიდეც. პოდოლსკში რომ ჩამოვიდა, მივედი და ვუთხარი, დახმარებას და მიკერძოებას არ გთხოვ, მაგრამ თუ ძმა ხარ, ამ ბიჭს არაფერი დაუკარგო-მეთქი. მართლაც ობიექტურად იმსაჯა, ჭიდაობა კი თანაბარი გამოდგა. შოთამ ჰანტერით გაიმარჯვა, მაგრამ პრძოლა რომ დამთავრდა, მსაჯის გადაწყვეტილებამდე მე ჩემი დამემართა და გული ლამის გამიჩერდა. რუდიტისმა ხელი შოთასკენ გაიშვირა და მეც შვებით ამოვისუნთქი. მერე, როცა შოთამ იმედები გაამართლა და ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა, სიხარულით კინალამ გავგიუდი. ასეთი სიხარული ჩემს ცხოვრებაში არ განმიცდია. ამ სიხარულს შვილის დაბადებას თუ შევადარებ. შოთას გამარჯვებას მთელი ღამე აღვნიშნავდით. ამაგი მეც დამიფასდა და 35 წლის კაცს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მომანიჭეს.

მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე 80 ქვეყნის დელეგაცია ჩავიდა. საბჭოთა ჯარების ავლანერთში შექრასთან პროტესტის ნიშნად რამდენიმე დასავლურმა სახელმწიფომ ამერიკის თამადობით ამ თამაშებს უგანა, თუმცა ამ ქვეყნების ცალკეულმა სპორტსმენებმა ბოიკოტი არად ჩააგდეს და მოსკოვში ჩავიდნენ. ძიუდოში ვინც ძლიერი იყო, პრაქტიკულად ტატამზე ყველა გამოვიდა, თუმცა იყო ერთი უმთავრესი, იაპონელთა გუნდი, რომლის დელეგაციაც ბოიკოტს მიემხრო.

მოსკოვის ტატამზე პირველად გათამაშდა მედლების რვა კომპლექტი, რაც განვლილ ოლიმპიურ პროგრამასთან შედარებით ერთით მეტი იყო.

საბჭოთა ნაკრებში სამი ქართველი მოხვდა: შოთა ხაბარელი, თემურ ხუბულური და თამაზ ნამგალაური. მათგან ყველანი მედლებს ელოდნენ,



შოთა საბარელს სპორტის  
სასახლეში გამართულ  
ჩეკნს ტრდიციულ სა-  
ერთაშორისო ტურნირზე  
სა ზეიმო გაცილება მო-  
უწყვეს. ძველმა თანა-  
გუნდელებმა, მსოფლიოს  
ჩემპიონატების მომავალ-  
მა მედალოსნებმა აკაკი  
კაბორძალიძემ და კობა  
კურთანიძემ, რომლებმაც  
ის-ის ყოდ დიდ სარბიელზე  
გასვლა დაწყეს, თვითინ-  
თი კერპი შოთა საბარელი  
მხრებზე შეისვეს და სპორ-  
ტის სასახლის თაღებქვეშ  
ფეხზე ჩამომდგარი გულ-  
შემატკიცრების ტაშის  
გრიალში შემოატარეს.

მით უმეტეს, რომ ქართული ოლიმპიური ძიუდოს ტრადიცია ოპტიმიზმის საფუძველს იძლეოდა.

ჯერ იყო და 1964 წელს ტოკიოში, სადაც ძიუდოს ოლიმპიური დებიუტი შედგა, საბჭოთა სპორტსმენებმა ოთხი წონითი კატეგორიიდან ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რომელთაგან ორი მედალი ანზორ კიკნაძისა და ფარნაოზ ჩიკვილაძის წილად მოდიოდა. მომდევნო, მეხინოს ოლიმპიურ პროგრამაში ძიუდო აღარ იყო, მიუნხენის 1972 წლის თამაშებიდან კი ძიუდო ოლიმპიადების განუყოფელი ნაწილი გახდა. იმ წელიწადს საბჭოთა ნაკრების ექვსი წევრიდან ნახევარი ჩვენი ძიუდოისტი იყო: შოთა ჩოჩიშვილი, გივი ონაშვილი და გურამ გოგოლაური. ამათგან ჩოჩიშვილი გახდა პირველი ქართველი და საერთოდ პირველი საბჭოთა ძიუდოისტი, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა, თანაც მათგან იგი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, გივი ონაშვილი კი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

მომდევნო, 1976 წელს მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე კვლავ ვინილეთ შოთა ჩოჩიშვილი, რომელმაც ამჯერად ლია პირველობაში ბრინჯაო დაიმსახურა, თუმცა ჩვენს გორელ ჯილას კანადის დედაქალაქის ტატამზე ერთი ბრძოლაც არ ნაუგია და მომავალ ჩემპიონ იაპონელ ხარუკი უემურასთან მხოლოდ მსაჯთა გადაწყვეტილებით ჩაეთვალა წაგება.

ასე იყო თუ ისე, ჩოჩიშვილი კიეველ სერგეი ნოვიკოვთან ერთად გახდა პირველი საბჭოთა ძიუდოისტი, ვინც ოლიმპიურ ტატამზე მეორე მედალი დაისაკუთრა, ქვემდიმე წონაში კი რამაზ ხარშილაძე ვერცხლს დაეუფლა, ხოლო ოლეგ ზურაბიანი უმედლოდ დარჩა.

აი, მოსკოვის ტატამზე ასეთი ოლიმპიური წარსული უმაგრებდათ ზურგს ქართველ ძიუდოისტებს, რომლებმაც თავიანთი ხუთორგოლიანი მედლების ყულაბა თითო ოქროსა და ვერცხლის მედლით გაამდიდრეს. მსოფლიოს ჩემპიონი თემურ ხუბულური (95) ვერცხლის პრიზიორი გახდა, შოთა ხაბარელი კი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ხაბარელის პირველი მეტოქე იყო აღმოსავლეთგერმანელი ძიუდოისტი ჰარალდ ჰაინკე, — ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპი-



ონატის პრიზიორი, რომელიც ჩვენს ძლევისჯვარელ ფალავანთან ვერას გახდა. შოთა ხაბარელმა ამ გერმანელს ჯერ იუკო აართვა, მერე კოკა, ბოლოს კი მსაჯებმა პაინკე გაფრთხილებითაც დასაჯეს.

პაინკეს ბულგარელი გიორგი პეტროვი მოჰყვა.

— პეტროვი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების არაერთგზის მედალისანი იყო, — იხსენებს შოთა ხაბარელი, — ჩვენი მონაწილეობით არ ყოფილა ისეთი შეჯიბრება, რომელზეც ერთმანეთს ტატამზე არ შევხვედროდით, მაგრამ ერთხელაც ვერ მომიგო. მოსკოვშიც ვერას გახდა და კოკათი გავიმარჯვე.

მესამე წრეში შოთა ხაბარელის პირისპირ ევროპის ჩემპიონი მირჩა ფრეტიკე დადგა. მანამდე ამ რუმინელისა და ქართველის გზები პარიზში, ევროპის ჩემპიონატის ფინალში გადაეყარა ერთმანეთს და ხელის გაშვერით გამარჯვება ჩვენს ძიუდოისტს დარჩა. იგივე განმეორდა მოსკოვშიც და ხაბარელი ფინალში გავიდა.

გადამწყვეტ საჩემპიონო ორთაბრძოლაში ხაბარელის მეტოქე იყო კუბელი ხუან ფერერი.

— ჩემთან შეხვედრამდე ფერერიმ გზიდან ჩამოიცილა მეტად გამოცდილი ფრანგი ჩულოიანი. ტურნირის დაწყებამდე ჩემთვის რომეკითხათ, ფინალში მეტოქედ სწორედ კუბელს ვისურვებდი. როცა მართლაც მან გაიმარჯვა და ფინალში გავიდა, დავრწმუნდი, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გავხდებოდი. მართალია, მანამდე ფერერის ტატამზე არასოდეს შეხვედრივარ, მაგრამ როცა მის ბრძოლებს ვაკვირდებოდი, ვგრძნობდი, რომ ამ კუბელს უთუოდ მოვუგებდი. მართლაც, ქულას ქულაზე ვაგროვებდი. სამი კარგი გდება გამომივიდა. იმ დროს მსაჯები გდებებს ძნელად აფასებდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, შეხვედრას ვადამდეც დავამთავრებდი. მსაჯთა მოსაწონი გდების შესრულებაც შემეძლო, მაგრამ არ გავრისკე, რაკიდა ისედაც ვიგებდი და ბრძოლას მთლიანად ვაკონტროლებდი. როცა შეხვედრა დამთავრდა, ჩემს სიხარულს მართლაც საზღვარი არ ჰქონდა.

რა თქმა უნდა, შოთას მოსკოვურ ტრიუმფს ძალზე ხარობდა მისი პირველი მწვრთნელი გივი ზაუტაშვილი. გასახარი მას ჰქონდა, თუ



ნესტორ ხერგიანშა  
წუთის წინ ოლიმპიური  
ნახვარფინალური  
ბრძოლა მოიგო.  
ათენი, 2004 წელი

ჰქონდა — ზაუტაშვილის ერთი აღზრდილი რომ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მეორემ, თემურ ხუბულურმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

— გამარჯვების მერე ბედნიერებისგან თვალს რული აღარ ეკარებოდა, — იხსენებს შოთა ხაბარელი, — ფინალური ბრძოლის თითოეულ დეტალს ვიხსენებდი და ჩემს წარმოსახვაში ისევ ვჭიდაობდი. საქართველოში დაბრუნების მერე ზეიმი მთელ თვეს გაგრძელდა. ყველას ჩემთან ყოფნა უნდოდა და ყველა შინ მეპატიუროდა. უამრავ ოფიციალურ და არაოფიციალურ შეხვედრას მიმართავდნენ. მაშინ ვიგრძენი, რომ საქართველოსთვის მეც რაღაც გავაკეთე. ამიტომაც იმ ამბების გახსენება უდიდეს სიამოვნებას მგვრის. მაშინ მოსკოვში ჩემი სპორტული ცხოვრების უმთავრეს მიზანს მივაღწი. მუშტებალმართული და ბედნიერებით აღსავსე მაყურებელს ვესალმებოდი, თუმცა გულში უფრო მიხაროდა,



ვიდრე ამას გარეგნულად გამოვხატავდი. ჩემი სიხარული დალონებული მეტოქის ფონზე ფოტოკორესპონდენტებმაც ფირზე აღბეჭდეს. როცა ის სურათი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ვნახე, როცა ჩემი მეტოქის სახე ვიხილე, იგი ძალიან შემეცოდა. ბოლომდე მხოლოდ სპორტსმენი თუ გაიგებს იმას, რასაც ფინალში დამარცხებული მეტოქე გრძნობს...

\* \* \*

იმ დღეს, 2003 წლის 11 ოქტომბერს, უსახელო მწვერვალზე ჩვენს ვეტერან ოლიმპიურ ჩემპიონებთან, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე ვახტანგ ბლაგიძესთან და ძიუდოისტ შოთა ხაბარელთან ერთად

ათენის ოლიმპიური სოფელი. მრცხნიდან — მნერთნელი გურამ მოდებაძე, ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი, შოთა ხაბარელი ხერგიანის ერცხლის მედლით, სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი გურამ რატიშვილი და ნესტორ ხერგიანი



**შოთა ხაბარელი:**  
„პედონიერი ვარ, რომ პირ-  
ველებმა ჩვენ ავაუდერეთ  
ახალი ჰიმნი და ავაფრია-  
ლეთ ის დროშა, რომელიც  
ჩვენ დღის გვაქმნა. ადა-  
მიანი, თურნიტე, დადგებთი  
ემოციისგანაც შეიძლება  
ცუდად გახდეს. ერთ მო-  
მენტში, არის კადრებში,  
გონიერაც კი დაგვარჩე,  
იმდენად დიდი სიხარული  
მომიტანა ზოიადაურის  
გამარჯვებამ.“

ასულებმა უჩვეულო სანახაობა ვიზილეთ — ის იყო მწვერვალზე ფეხი  
შევდგით, ულურჯესი ცის თავზე ორი არწივი გამოჩნდა. ვეება ფრთები  
მარაოსავით გაეშალათ და მწვერვალზე ასულთ მძიმე ბომბდამშენები-  
ვით თავს დაგვტრიალებდნენ...

მაგრამ ახლა ხდეს ხეობას მივუყვებით. ამ ხეობაში ამოსულს მუდამ  
ლევან გოთუა და მისი „ხდედალეულნი“ მახსენდება:

„თეთრ წინწკლებად დაფშვნილი ჩქეფი ხდეს წყალი. ქვიდან ქვაზე,  
კლდიდან კლდეზე, ლოდიდან ლოდზე რძე გადმოდუდს. ქაფით და გა-  
ბით. წყალი, როგორც რძე, თერგის რუს ტალღებს ზოლად ჩაჰვება ერ-  
თხანს. ბილიკი ხდეს ჩქეფს ასდევს მიეთმოეთით“...



დაუვინგარი მომენტი.  
ათენი, 2004 წელი



ასე დახვდნენ მსოფლიოს  
ჩემპიონატიდან  
ტრიუმფით დაბრუნებულ  
საქართველოს ნაკრებს და  
მის მთავარ მწვრთნელს  
შოთა ხაბარელს  
თბილისის აეროპორტში.  
2006 წელი

### და შემდეგ:

„ჰაერში ხდეს დაშლილი, ცვარის სიამე... ჩქერის ზათქი აყრუებს  
სიტყვას, დანაყილი წყლის ნაფრქვევს სითეთრე თვალს სჭრის....

და მოსმით დავენაფე ხდეს ქაფს...

შევსვი ხარბად და უცნაური სიზვიადე ვიგრძენი.

ძმებო, ძმებო, მეც ხომ თქვენთან ერთად ამის შემდგომ ხდედალე-  
ული ვარ! მისი დაუდგრომლობით შენაპყარი და მის ხეობაში თითქოს  
ახალნაირად ნაშობი“.

ჩვენც დავლიერ ხდის წყალი.

ვინ იცის მერამდენედ?! ჩვენც ხდედალეულნი ვართ!

იმ დღეს ხდის წყალი პირველად დალიეს ჩვენთან ერთად მოლაშქრე  
ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, რომლებიც მთამსვლელებთან ერთად შეუყ-  
ვნენ ხდის ხეობას, რათა მის სათავეებთან აღმართულ უსახელო მწვერ-  
ვალზე ასულიყვნენ და მისთვის „საქართველოს ოლიმპიელი“ ენოდები-  
ნათ. ორივენი მწვერვალზე სალაშქროდ პირველად იყვნენ და ენთუზი-  
აზმით აღსავსენი ჩანდნენ. ერთი ეგ იყო, შოთა ხაბარელი თავისი განი-



შოთა ხაბარელი და  
ჯემალ ნათელაშვილი

ერი მხარ-ბეჭისა და ზორბა ტანის გამო საძილე ტომარაში ჩაწილისას თუ ჩაძვრომისას ჯახირობდა და ვერ ეტეოდა, ბლაგიძე კი კარავშიც ისე ციბრუტივით ტრიალებდა, როგორც თავის დროზე საჭიდაო ხალიჩაზე მკვირცხლობდა.

შოთა მირიანაშვილი ნახევარი საუკუნეა, რაც მწვერვალებზე და-დის. თავის დროზე იქიდან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების არაერთი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანა. სწორედ მისი იდეა იყო, რომ ჩვენი ოლიმპიელები უსახელო მწვერვალზე ასულიყვნენ და მისთვის „საქართველოს ოლიმპიელი“ ენოდებინათ. ეს იდეა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტშიც აიტაცეს, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაშიც და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. სტუდენტთა ტრადიციული ალპინიადის მონაწილე-ებსაც ხდის ხეობაში შევუერთდით.

ალპინიადის კარვების ქალაქის ბინადართ ყოველდღიურად გემრი-ელ კერძებს უმზადებდა შოთა მირიანაშვილის კბილა თანამოკარვე მი-ტო დანგაძე. ამიტომაც ახალბედა მთამსვლელებს იგი მზარეული ეგო-

ნათ, ის კი არ იცოდნენ, რომ საქართველოში ერთ-ერთი ტიტულოვანი მთამსვლელი ემსახურებოდათ.

მირიანაშვილისა და დანგაძის თანამოკარვეა ჩვენი კოლეგა პაატა ნაცვლიშვილი. ორივეს გვეამაყება, რომ მირიანაშვილისა და დანგაძის მეთაურობით ამ ხეობაში 1974 წელს, სტუდენტობისას, ერთი უსახელო მწვერვალი დავლაშქრეთ და მას „გმირთა ვარამის“, „მითრიდატეს“, „ხდედალეულნისა“ და სხვათა ავტორის სახელი ვუწოდეთ. ახლა კი კიდევ ერთ ნათლობაზე მივდივართ, ოლონდ ოლიმპიურ ჩემპიონებთან ერთად...

1955 წლამდე იქ მთამსვლელთა ჯგუფები მაინც იშვიათად ამოდიოდნენ. მათი რაოდენობა თხუთმეტსაც ვერ აღწევდა, 1955 წლიდან კი ნამდვილი ბუმი დაიწყო. რამდენიმე წლის შემდეგ აქ თბილისის უნივერსიტეტის ტრადიციულ ალპინიადებს შოთა მირიანაშვილი ჩაუდგა სათავეში და მას მერე ალპინიზმს დღემდე აზიარებს იქაურ სტუდენტობას, მისი მგლის მუხლი და ენერგია კი ბევრ ახალგაზრდას შეშურდება.

ახლაც, ამ მე-60 ალპინიადის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა მისი მეთაურობით ალპინისტური ნათლობა მიიღო, მეორემ კი ოსტატობა აიმაღლა.

შოთა მირიანაშვილი მეორე მწვერვალიდან იმ საღამოს რომ დაბრუნდა, დილით ახლა ჩვენს „ოლიმპიურ“ გუნდს ჩაუდგა სათავეში და ნინ წაგვიძლვა. თვრამეტი წავედით, თუმცა ოლიმპიურ ჩემპიონებთან ერთად ლაშქრობის მოსურნე გაცილებით მეტი აღმოჩნდა, მათ შორის ახალგედებიცა და თანრიგოსანი მთამსვლელებიც.

ასე იყო თუ ისე, დიდებული ამინდი დაგვიდგა. ერთი ეგ იყო, მწვერვალთან ახლოს ლამისთევისას მაღიმალ ისეთი ძლიერი ქარი უბერავდა, ლამის კარვის კალთები დაგვიხია.

გადამწყვეტი იერიში უთენია დავინყეთ. იმ ბინდ-ბუნდში ზღაპრული სანახავი იყო მყინვარწვერი, სადაც ასევე უნივერსიტეტებმა, გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით, 80 წლის წინათ სათავე დაუდეს ქართული და მთელი საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას, ჩვენ კი ეს საიუბილეო თარიღი ხდები ამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე მასზე ლაშქრობი-



თაც აღვნიშნეთ. ახლა მყინვარწვერი და მისი ზეცა კალეიდოსკოპის ფიგურებივით სწრაფად იცვლიდა შეფერილობას...

ძალზე უჩვეულო სანახავი იყვნენ ქარაფებზე გადმომდგარი ჯიხვებიც, რომელთა ცნობისმოყვარე მზერა დიდხანს მიგვაცილებდა მწვერვალისკენ, მაგრამ უფრო იშვიათი სურათი გველოდა მწვერვალზე, თუმცა იქამდე ჯერ ასვლა იყო საჭირო.

არა, მწვერვალზე ასვლა საეჭვო სულაც არ იყო, მაგრამ სულ ბოლოს, როცა მასზე მიბჯენილ პიტალო, შვეულ კლდეს მივადექით, შევფიქრიანდით, მთამსვლელისთვის მეტად შეუფერებლად ზორბა შოთა ხაბარელს იქ რა აიყვანსო. მანამდე ხაბარელი მირიანაშვილის მიერ თოვლში გაცვალულ ბილიკს ბაჯბაჯა დათვივით ანგრევდა და მის ნაფეხურებში თავისზე ორჯერ მსუბუქი ბლაგიძე წელამდე ეფლობოდა.

ბოლოს, იმ პიტალოს რომ მივადექით, ხაბარელმა ხელები გაშალა: „ეს არის მწვერვალზე სულ ბილიკ-ბილიკ ახვალო, რომ მაგულიანებდა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი?..“

მერე ხაბარელმა ერთი სული მოითქვა, გავარდა და კლდეზე დათვივით აბიბლდა. ამ დროს გაჯიუტებულმა ბლაგიძემ ჭკუა იხმარა, გასაძვრომს მიაგნო და მწვერვალზეც ალიღინდა, იქ კი გაბადრული და მუშტებალმართული ხაბარელი დახვდა.

ოლიმპიური ჩემპიონი რომ გავხდი, მაშინაც ზუსტად ასე, მუშტებალმართულმა გამოვხატე უდიდესი სიხარულიო, გვითხრა შოთა ხაბარელმა.

და იქ, მწვერვალზე, როცა შოთა ამგვარად გამოხატავდა სიხარულს, დიდხანს და მედიდურად თავს დაგვტრიალებდა ორი არწივი.

კაცი მწვერვალებზე სიარულში ამ ხნისა მოვიყარე და მსგავსი რამ არ მინახავსო, უკვირდა შოთა მირიანაშვილს.

მწვერვალზე აქამდე არც სხვებს გვინახავს არწივი და ამიტომაც ჩვენს თავზე მოტრიალე ძლიერების და გამარჯვების სიმბოლოდ აღიარებული ამ ფრინველის გამოჩენა ყველამ კარგ ნიშნად მივიჩნიეთ.

ისიც სიმბოლური დამთხვევა იყო, რომ მწვერვალზე, ქართული ალპინიზმის მეაკვნეებივით, ჩვენც თვრამეტნი ავედით.



შოთა ხაბარულის  
განვითარებილი  
საქართველოს ნაკრები  
XX საუკუნის პირველ  
ათწლეულში  
უმთავრესი ტურნირების  
უცდლელი დავორიტი იყო.  
ამ ნაკრებმა 2003, 2006  
და 2007 წლებში ევროპის  
გუნდურ ჩემპიონატში  
გაიმარჯვა, 2006 და 2008  
წლებში კი მსოფლიოს  
ჩემპიონი გახდა.



ვარჯიშზე შოთას  
ტატამს მიღმა ვერ  
ნახავთ, მუდამ კიმინო  
აცვია, ტატამზე ციძ-  
რუტივით ტრიალებს და  
ყველას თვალნათლივ  
უჩვენებს ნაირგვარ  
ფანდებს და ილეთებს



და ის ორი არწივი, მათთან ერთად კი იქ აფრიალებული საქართველოს დროშა და ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტისაც, ალბათ არა-სოდეს დაავინწყდებათ ოლიმპიურ ჩემპიონებს ვახტანგ ბლაგიძესა და შოთა ხაბარელს, რომელთაც თავის დროზე სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრეს, ახლა კი მისი მთამსვლელთა სექციის წევრები გახდნენ. ეს ასვლა ალბათ არ დაავინწყდებათ ამავე სექციის სხვა წევრებს: გიორგი ქრისტესიაშვილს, გიორგი მაჭავარიანს, გიორგი ხაბურზანიას, მიხეილ გოგორიშვილს, დავით სვანაძეს, გიორგი მახარაძეს, ზურაბ კიკნაველიძეს, ზურაბ მახათაძეს, გიორგი მოლოდინს, დავით მჭედლიშვილს, ლევან ლომიძეს, აკაკი ველთაურს; ჩემს კოლეგებს ელგუჯა ბერიშვილს და პაატა ნაცვლიშვილს, თქვენს მონა-მორჩილს, ამ სტრიქონების ავტორსა და, რა თქმა უნდა, ასვლის მეთაურ შოთა მირიანაშვილს, რომლებიც ასევე უნივერსიტეტელები ვართ.

და მართალი აღმოჩნდა ელგუჯა ბერიშვილი, როცა ბლაგიძესა და ხაბარელს უნინასწარმეტყველა, მწვერვალზე ასვლის მერე მთებისა და ალპინიზმის სიყვარულით მოინამლებით.



ეგ კი არა, ხაბარელი არა მარტო თავად აპირებს მწვერვალზე კვლავ ნასვლას, არამედ იქ საქართველოს ძიუდოისტთა მთელი ნაკრების აყვანაც განუზრახავს.

\* \* \*

კარგი რამაა ტკბილი მოგონებები – ხშირად ათას დარდს, გაჭირვებას, თუ პრობლემას დაგავიწყებს, გუნებას გამოგიკეთებს და მერე ამით გახალისებული ყველა წინაღობას გაორმაგებული ენერგიით ეკვეთები. ჰოდა, ჩვენც გავიხსენოთ ის კარგი მოგონებები, ფოტოობიექტივით შეჩერებული წამები, რომლებიც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი სპორტსმენების, უფრო ზუსტად — შოთა ხაბარელის აღსაზრდელთა წარმატებებს უკავშირდება.

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ოთხი დიდი სიხარულის მთავარი შემოქმედნი, რომლებიც ზურაბ ზვიადაურის, გიორგი ასანიძის, ნესტორ ხერგიანისა და რამაზ ნოზაძის ოქრო-ვერცხლის მედლებს ჭედდნენ, უნინარეს ყოვლისა, მათი მწვრთნელები იყვნენ.

ჩვენი წიგნის მთავარი გმირის, როგორც საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ანგარიშზე ზურაბ ზვიადაურის ოქრო და ნესტორ ხერგიანის ვერცხლია. და რაკი შოთა ხაბარელის სამწყსოს კიდევ ორ წევრს საპრიზო ადგილამდე ერთი-ორი ნაბიჯილა დააკლდა, იგი ამ ოლიმპიური ტატამის საუკეთესო მწვრთნელადაც აღიარეს.

ათენური ბატალიების ფიტორეპორტაჟისას ყველაზე დიდ განამანიაში სწორედ ოლიმპიურ ტატამზე ვიყავი. ოლიმპოსკენ მიმავალ გზაზე ჩვენი ძიუდოისტები რომ ტრიუმფით მიიწვევდნენ ზემოთ და სარბიელზე დიდი ბრძოლები ჰქონდათ, იმავდროულად იქვე შოთა ხაბარელის ემოციები და უდიდესი განცდები იტაცებდა ჩემს მზერას და ფოტოობიექტივსაც, ცალკე კიდევ ტრიბუნებზე თავმოყრილ ქართველთა ყიუინა და დროშების ფრიალი იყო.

ამბობენ, კარგი სტარტი საქმის ნახევარია. და თუ ეს ასეა, ჩვენს ნესტორ ხერგიანს გაუკეთებია იმ საქმის ნახევარი, რამაც თორმეტწლი-



მწერვალ „საქართველოს  
ოლიმპიულის“  
პირველდამშვრობია  
შორის ორი ოლიმპიური  
ჩემპიონი იყო —  
შოთა ხაბარელი და  
გახტანგ ბლაგიძე

ანი ბრინჯაოს ხანიდან გამოგვიყვანა, რითაც დაგვარწმუნა, რომ ეს შე-საძლებელია და უკეთესი მომავლის იმედიც ჩაგვისახა.

ნესტორმა ჯერ გაესპანელებული იაპონელი კენჯი უემაცუ, მერე კი ყაზახი ხაბარბეკ დონბაი, რუსი ევგენი სტანეკი და ირანელი ჰაჯი ახონ-ზადე მაზედი ერთმანეთის მიყოლებით ისე დაამარცხა, რომ ერთი კო-კაც არავის დაანება. ბოლოს ფინალში ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონთან ტადაპირო ნომურასთან მთელი ხუთი წუთი ისე იბრძოდა, რომ მეტოქეს არაფერი დაუთმო, თუმცა ბოლოს მაინც დამარცხდა, მაგრამ ეს გამარჯვება იყო, რადგან ორი ოლიმპიადის მერე საქართველოს სპორტსმენებმა პირველად მოიპოვეს ვერცხლის მედალი, რამაც შემდგომ მონა-გარს დაუდო სათავე.

ნესტორის ვერცხლის მედალს მოჰყვა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიურ ჩემპიონად ზურაბ ზვიადაურის დაბადება.

და ბედნიერი ვარ, რომ საუთარი თვალით ვნახე ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მის მიერ იტალიელი ლეპრეს დამარცხება, რუსი ტაოვის



შოთა ხაბარელი,  
შოთა მირიანაშვილი  
და გახტანგ ბლაგიძე  
მწვერვალ „საქართველოს  
ოლიმპიულზე“

ძლევა, ფრანგ დემონფოკოსთან რევანში, ბრიტანელ გორდონთან გა-  
მარჯვება, იაპონელი იზუმის ნამოკიდება, გდება, საბოლოო ტრიუმფი  
და სიხარულით გაგიჟებული, ხუთჯვრიანი დროშებით მთლად გადა-  
თეთრებულ-გადაწითლებული ქართველთა ტრიბუნა.

და რა თქმა უნდა, ვნახე ამ სიხარულის სულისჩამდგმელის, შოთა ხაბარელის ჰაერში აღმართული, დამუშტული ხელები.

აი, 24 წლის შემდეგ მწვრთნელის რანგში ასე გაიმეორა შოთა ხაბარელ-  
მა თავისი პირველი აღმზრდელის, გივი ზაუტაშვილის ოლიმპიური ტრიუმ-  
ფი, როცა ერთი შეგირდი ჩემპიონი გახდა, მეორე კი ვერცხლის პრიზიორი.

— ბედნიერი ვარ, რომ პირველებმა ჩვენ ავაუდერეთ ახალი ჰიმნი  
და ავაფრიალეთ ის დროშა, რომელიც ჩვენ დღეს გვაქვს, ამბობს შო-  
თა ხაბარელი, — ადამიანი, თურმე, დადებითი ემოციისგანაც შეიძლება  
ცუდად გახდეს. ერთ მომენტში, არის კადრებში, გონიერაც კი დავკარგე,  
იმდენად დიდი სიხარული მომიტანა ზვიადაურის გამარჯვებაში.

\* \* \*

ძიუდოს გარდა, საქართველოს სპორტის არცერთ ოლიმპიურ სახე-  
ობაში გუნდური მსოფლიო ჩემპიონობა არ ღირსებია, ასეთი სიხარული  
კი შოთა ხაბარელის ხაკრებმა მოგვიტანა. ამიტომაც 2006 წლის შემოდ-  
გომის პარიზი და ის დღე, როცა შოთა ხაბარელი მისმა შეგირდებმა გუნ-  
დური მსოფლიოს ჩემპიონობის ნიშნად ხელში აიტაცეს და აბურთავეს,  
ოქროს ასოებით სამუდამოდ და გამორჩეულად ჩაიწერება არა მხოლოდ  
ქართული ძიუდოს ისტორიაში, არამედ საერთოდ ჩვენი ქვეყნის სპორ-  
ტულ მატიანეში.

პარიზულ ტრიუმფამდე იყო 1998 წლის მსოფლიოს გუდურ ჩემპიო-  
ნატში ძალების პირველი მოსინჯვა, რაც მესამე ადგილით დასრულდა.  
ამას მოჰყვა 2002 წელს მარიბორში ევროპის გუნდურ ჩემპიონატში გა-  
მარჯვება და შვეიცარიის მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში მეორე ად-  
გილი, 2003 წელს ლონდონში ევროპის გუნდურ სარბიელზე უმაღლესი  
ტიტულის დაცვა და ბოლოს პარიზული ტრიუმფი.



— პარიზული სიხარული არასოდეს დამავიწყდება. ძიუდოში ასეთი ბედნიერება პირველად მაშინ განვიცადე, როცა მოსკოვში ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი, მეორედ ჩემმა აღსაზრდელმა ზურაბ ზვიადაურმა ათენში თავისი ოლიმპიური ჩემპიონობით გამახარა, ბოლოს კი პარიზში საქართველოს ნაკრების მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობით გავიხარე. აქამდე უძლეველ იაპონელებს სწორუპოვარი გუნდის ტიტული ჩამოვართვით, როცა ფინალში რუსებს ვძლიერ. იქნებ ასეთი გამარჯვება კვლავაც მოვიპოვოთ, მაგრამ პარიზული სიხარული მაინც განუმეორებელი იქნება, — აღტაცებულია შოთა ხაბარელი და იქვე ერთხელაც დასძენს, ჩემს საიუბილეოდ უკეთეს საჩუქარს ვერც ვინატრებდიო.

პარიზის მსოფლიოს ტატამზე ცამეტი ქვეყნის ძიუდოისტები გამოდიოდნენ. საქართველოს ნაკრებმა მერვედფინალში ეგვიპტელთა გუნდს სძლია, მერე უკრაინელთა ნაკრებს, ნახევარფუნალში იაპონელთა მძლეველ სამხრეთ კორეელებს მოუგო, ბოლოს კი ფინალში — რუსეთის რჩეულთ.

— რუსები პარიზში დიდი ამბიციებით ჩამოვიდნენ. თავად შევესწარი რუსების ბაქიაობას, ჩვენი ერთადერთი მეტოქე იაპონელთა გუნდია და მათ ჩემპიონობას უთუოდ ჩამოვართმევთო. ვკითხე, ნაადრევად ხომ არ ჩამოგვწერეთ-მეთქი. როცა რუსებთან ორი ბრძოლით ადრე მსოფლიოს ჩემპიონობა გავინაღდეთ, ჩვენი ბიჭები სიხარულით გაგიჟდნენ. ერთმანეთი ჩაბლუჯეს და ლამის ხვევნა-კოცნაში დაახრჩვეს, საქართველოს დროშები აფრიალეს, ტრიბუნებზე შეკრებილ ქართველ ქომაგთ სახეგაბადრულები მიესალმნენ და ბოლოს მეც მაბურთავეს; იყო უამრავი ზარი თბილისიდან, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტისგან...

მილოცვები, კეთილი სურვილები და შოთა ხაბარელის ბურთაობა თბილისის აეროპორტშიც გაგრძელდა და საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

\* \* \*

შოთა ხაბარელი ოჯახის დიდი მოსიყვარულეა. იმ შემოდგომაზე თბილისის უნივერსიტეტის მთამსვლელებთან ერთად უსახელო მწვერვალის დასალაშქრად ყაზბეგის რაიონისკენ რომ გავემგზავრეთ, ნერვი-

ულობისგან ლამის გათავდა კაცი, დღეს ჩემი ქალიშვილის დაბადების დღეა და ნეტა მე რაღა მრჯიდა, სად მოვდიოდი, რომ მოვდიოდიო. მე-რე ხდის ხეობაში ასულნი სააკლიმატიზაციოდ ერთდღლან დასვენებას რომ ვფიქრობდით, შოთამ აიტეხა, რის აკლიმატიზაცია, რა დასვენება, ხვალვე გზას გავუდგეთ, რომ სამ დღეში თბილისში ვიყოთ, ცოლის და-ბადების დღეს უნდა ჩავუსწროო.

— მთელი ჩვენი ცხოვრება სულ შეხვედრა და განშორებაა, — იხსე-ნებს ქალბატონი მანონი, — ჩვენი ქორნინებიდან ორი კვირაც არ იყო გასული და შოთა უცხოეთში შეჯიბრებაზე გაემგზავრა. სარბიელს რომ გამოეთხოვა, მეგონა, ჩვენი განშორებები დამთავრდა-მეთქი, მაგრამ ყველაფერი თავიდან დაინყო. პოდა, შოთას ვუთხარი, ან მე, ან შენი სპორტი და მწვრთნელობა-მეთქი, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, ასეთ ცხოვრებას შევეჩვიე და ბედს შევურიგდი. ახლა არაფერს ვნანობ, ძიუ-დოს კი საკუთარი ხუთი თითოვით ვიცნობ. ეს საქმე მეც შემიყვარდა და მის ნიუანსებში კარგად ვერკვევი...

ამ სიყვარულის დასტურად გამოდგება ქართველ ძიუდოისტთა იმ ჰიმნის შექმნის იდეის დაბადება და მის განხორციელებაზე ზრუნვა, რითაც ქალბატონმა მანონმა სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი ამგვარადაც შეიტანა. ამასო-ბაში კი შოთას ქალიშვილმა ანიმ მამის ჯილდოების კოლექციის თავისი პირველი სპორტული ნადავლიც შემატა ბოხუმში გამართულ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირზე დასაკუთრებული დიპ-ლომი და მედალი.

— ჩემს ნარმატებაზე მეტად ის გამიხარდა, გამარჯვებით მამა რომ გავახარე. ჩემნაირი კარგი მამა არავის არ ჰყავს. ჩემთვის ერთი ხმამა-ლალი სიტყვაც არასოდეს უთქვამს, — მითხრა ანიმ. შოთას უფროსი შვილი მამუკა კი ამბობს, ძნელია ოლიმპიური ჩემპიონის შვილობა, სულ სხვა თვალით გიყურებენ და გაკვირდებიან.

მამუკა მამამისივით ძიუდოს მისდევდა, მაგრამ წუხს, ჩემზეც გა-მართლდა ის ამბავი, რომ ამბობენ, დიდ სპორტსმენებს დიდი სპორ-ტსმენი შვილები არ ეზრდებათო. ამიტომ ახლა მთელ იმედებს თავის



მამა და შვილები —  
შოთა, ანი და მამუკა  
ხაბარელები

შვილზე ამყარებს, იქნებ პაპამისივით ოლიმპიური ჩემპიონი გაიზარდოსო, თავად პაპა კი ამბობს, საკმაო წინააღმდეგობების მიუხედავად, ოჯახში დიდი მხარდაჭერა რომ არ მქონოდა, ჩემს სპორტულ კარიერას წერტილი დროზე ადრე დაესმებოდაო.

\* \* \*

როცა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციული საახალწლო გამოკითხვის შედეგად 2006 წლის საუკეთესო გუნდის ვინაობა გაცხადდა, ჩვენი ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები, მორაგბებთან ერთად, ქვეყნის უპირველეს გუნდად აღიარეს.

იმ რეფერენდუმის „პირად პირველობაში“ ასევე ძიუდოისტი ზაზა კედელაშვილი საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. მწვრთნელთა შორისაც ყველაზე მეტად გამოარჩიეს ჩვენი ქვეყნის ძიუდოისტთა გუნდის მთავარი მესაჭე. ან სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა შოთა ხაბარელი ევროპის ძიუდოს ფედერაციამაც მთელ კონტინტზე საუკეთესო მწვრთნელად მიიჩნია.

ყოველივე ამისა და ძველ წარმატებათა გამო, იმ წელიწადს შოთა ხაბარელს საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიანიჭეს, რაც ძიუდოს განვითარება-განზრტყიცებაში მისი უდიდესი წვლილის აღიარება იყო.

შოთა ხაბარელის ამაგის დაფასება იყო მისი დაბადების ორმოცდა-ათი წლის საიუბილეო თარიღის საზეიმო აღნიშვნაც, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის თეატრში იმავე წელს გაიმართა.

ჩვენი უპირველესი მწვრთნელის 2006 წლის მონაგარს რომ აღვნუს-ხავთ, ერთიც უნდა გავიხსენოთ — იმ წელიწადს დაისტამპა შოთა ხაბარელის მეთოდური სახელმძღვანელო „აღმზრდელობითი მუშაობა ძიუდოში“. ეს წიგნი საქართველოს ნაკრები გუნდის კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელის, პროფესორ გურამ რატიშვილის თანა-ავტორობით დაიწერა და ამ ყოველივეს, როგორც მოგვიანებით ნახავთ, ასე მისხალ-მისხალ შემთხვევით სულაც არ ვიხსენებთ.



ახლა დავუბრუნდეთ „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ იმ დაჯილდოების საზეიმო საღამოს, სადაც ღვინით სავსე ფუჟერებით ჩვენს მორაგბეებს მსოფლიო სარბიელზე ძიუდოისტთა წყლის გადასხმა ვუსურვეთ, თავად ტატამის ოსტატებს კი — ტიტულების შენარჩუნება და მომრავლება.

ჩვენი შერატონული სურვილები ძიუდოისტებმა მართლაც აასრულეს და ჭეშმარიტ ქომაგთა გულებიც სიხარულით აავსეს. შოთა ხაბარელსა და მის აღსაზრდელებს, როგორც ტრიუმფატორებს, თბილისის აეროპორტში კიდევ არაერთი საზეიმო დახვედრა მოუწყვეს, კვლავაც იყო დროშების ფრიალი, ყიუინა, ხვევნა-კოცნა, დოლ-გარმონი, მილოცვები, კეთილი სურვილები და, რაღა თქმა უნდა, შოთა ხაბარელის „ბურთაობა“ ჰაერში.

„საქართველომ ევროპასაც გადმოხედა!“ „ჩვენ ოქროს გუნდი ვართ!“ — ასე დაასათაურა გაზეომა „სარბიელმა“ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვება, რომელიც 2007 წლის შემოდგომაზე მინსკში ვიზუმით.

ბელარუსთა დედაქალაქში ჩვენმა ბიჭებმა, მოქმედი მსოფლიოს გუნდური ჩემპიონების რანგში რომ გამოდიოდნენ, ნახევარფინალში უპრინციპულესი მეტოქე — რუსეთის ნაკრები დაამარცხეს. მათ ამით დაამტკიცეს, რომ წინა წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისთვის შემთხვევით არ მოუგიათ და ყოველივე კანონზომიერი იყო. მინსკში რუსებმა ფინალმდეც ვერ მიაღწიეს, გადამწყვეტ ბრძოლებში კი ჩვენებთან საფრანგეთის ძიუდოისტებიც ვერას გახდნენ და საქართველოს ნაკრები ევროპის კენწერომდე მესამედ ამაღლდა.

იმავე წლის კონტინენტის პირად ჩემპიონატში, ბელგრადში რომ გაიმართა, ჩვენმა ძიუდოისტებმა ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ევროპა ევროპად და იმავე წელს ქართველი ძიუდოისტები ბრაზილიის დედაქალაქში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე არნახულ წარმატებას აღწევენ და შეჯიბრებას სამივე ხარისხის თითო მედლით აგ-



მანონი ხაბარელი:

„მთელი ჩვენი ცხოვრება  
ბა სუდ შეხვედრა და  
განშორებაა. ჩვენი ქორ-  
ნინებიდან ორი კვირაც  
არ იყო გასული და მოთა  
უცხოეთში შეჯიბრებაზე  
გაემგ ზაფრა. სარბიელს  
რომ გამოეთხოვა, მეგო-  
ნა, ჩვენი განშორებები  
დამთავრდა-მეთქი, მაგ-  
რამ ყველაფერი თავიდან  
დაიწყო. ჰოდა, შოთას  
ვუთხარი, ინ მე, ან შენი  
სპორტი და მწვრთნელო-  
ბა-მეთქი, მაგრამ ბოლოს,  
როგორც იქნა, ასეთ  
ცხოვრებას შევეჩვიე და  
ბედს შევურიგდი.“



ვირგვინებენ. ირაკლი ცირეკიძე საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ადის, ნესტორ ხერგიანი ვერცხლის მედალს ეუფლება, ლაშა გუჯეჯიანი კი — ბრინჯაოს. ამას გარდა, ჩვენი ორი ძიუდოისტი ხუთეულში ხვდება და საქართველოს ნაკრების წევრები კი ერთბაშად 5 ოლიმპიურ ლიცენზიას ეუფლებიან.

ეს ყოველივე პეკინის ოლიმპიური თამაშების პრელუდია იყო, ასეთივე გახლდათ 2008 წლის ლისაბონური ევროპის ჩემპიონატი, სადაც ჩვენი ძიუდოისტების მედლების ყულაბა ერთი ოქროს და სამი ბრინჯაოს ჯილდოთი ივსება.

ამ და სხვა შეჯიბრებების მერე ქართველმა ძიუდოისტებმა შვიდივე წონით კატეგორიაში... თორმეტი ოლიმპიური ლიცენზია დაიმსახურეს

მაშინ, როცა მრავალი ქვეყნისთვის ერთიც კი სანატრელია. საქართველოს ძიუდოისტთაგან ყველაზე შორის წავიდნენ მძიმენონოსნები, რომლებმაც სამი ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვეს.

თავად პეკინის ოლიმპიური თამაშები ქართველი ძიუდოისტებისთვის ისტორიული გამოდგა — ირაკლი ცირეკიძემ ოქროს მედალი მოიპოვა და გახდა პირველი ქართველი ძიუდოისტი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონობაც იზიმა და ოლიმპიური გამარჯვებაც.

ის წელინადი შოთა ხაბარელის სამწყსოს კიდევ ერთი ტრიუმფით დაგვირგვინდა — ქართველი ძიუდოისტები ტოკიოში მეორედ გახდნენ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონები. არადა, კენჭისყრის შედეგად ისინი ეგრეთნოდებულ „სიკვდილის ჯგუფში“ იაპონიასთან, ბრაზილიასთან და სამხრეთ კორეასთან ერთად მოხვდნენ, თუმცა ხაბარელის მიერ შვეიცარიული საათივით მომართულ-აწყობილმა გუნდმა ყველა მეტოქეს დამაჯერებლად სძლია: კორეელებს — 6:1, ბრაზილიელებს — 5:1, ფინალში კი რუსების მძლეველ უზბეკებს — 4:2.

\* \* \*

ასეთი შთამბეჭდავი წარმატებების მთავარი შემოქმედის ამბავი ჰქონდით სულაც არ მთავრდება — ის, რაც მერქ მოხდა, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა: საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელობამ ოთხგზის ევროპის სუკეთესო მწვრთნელი თანამდებობიდან გადააყენა, მიზეზად კი 2009 წლის უფერული სეზონი დაასახელა.

მართლაც, თბილისში, ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი საქართველოს ნაკრებისთვის, როგორც მასპინძლისთვის, დიდად სახარბიელო მონაგარი ვერ იყო. ამ შეჯიბრებამდე გუნდში ისე აირია მონასტერი, ისე დაიძაბა ვითარება, რომ რამდენიმე ლიდერი საერთოდ არ გამოსულა თბილისის ტატამზე. მოგვიანებით ნაკრებს ლიდერები კი დაუბრუნდნენ, მაგრამ გუნდში დატრიალებულ ამბებს უკვალოდ არ ჩაუვლია — 2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატიდან ჩვენი ძიუდოისტები უმედლოდ დაბრუნდნენ.



— შურმა, შუღლმა და გაუტანლობამ თავისი ქნა, — იხსენებს შოთა ხაბარელი, — ფედერაციის ხელმძღვანელებმა ჩემი გუნდის მიღმა დატოვება მოინდომეს, პირადი ინტერესი საზოგადო საქმეზე მაღლა დააყენეს და ბოლოს, როგორც იტყვიან, ნაბან წყალს ბავშვიც ზედ მიაყოლეს. პირველად 2005 წელს დამიპირისპირდნენ, როცა მცირედი წაბორდიკება არ მაპატიეს და კარისკენ მიმითიოეს. არადა, წინა წელს, პრაქტიკულად, ყველა ტიტული მოვიგეთ, ათენის ოლიმპიადაზე კი ოქრო და ვერცხლი ავიღეთ. ჯერ გმირად გამომაცხადეს და ლამის ღმერთკაცად შემრაცხეს, ცოტა ხანში კი შემომითვალეს — გუნდიდან უნდა წახვიდეო. 2009 წელსაც იგივე განმეორდა. კარგად მესმის, რომ შეუცვლელი არავინ არ არის, მაგრამ როგორ გინდა უმადურობას და უსამართლობას შეეგუო? თანაც ასე გექცევიან ადამიანები, ვისაც ქართული ძიუდოს ბედი სულაც არ ადარდებთ და წინა პლანზე პირად ამბიციას აყენებენ. გავადრო და სანთელ-საკმეველი თავის გზას მაინც იპოვის...

უსაქმოდ დარჩენილ შოთა ხაბარელს, რა გასაკვირია, არაერთი საინტერესო შეთავაზება ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ დიდმა ჩემპიონმა და მწვრთნელმა მაინც საქართველოში დარჩენა ამჯობინა. მით უმეტეს, სწორედ 2009 წელს მის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — მეორე შვილიშვილი შეეძინა.

— ეს ამბავი შვილმა მახარა. აი, მე პატარა შოთა ხაბარელი გაჩუქე, მაგრამ შენ შენსავით დიდი შოთა ხაბარელი უნდა გაზარდო, ოლიმპიური ჩემპიონიო. გავზრდი, რატომაც არა...

## შოთა ხაბარელი

დაიბადა 1958 წლის 26 დეკემბერს ძლევისჯვარში, ქარელი. ძიუდოისტი (78 კგ). XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1980, მოსკოვი), მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1983), ევროპის ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1979, 83), ევროპის ჩემპიონატების ორგზის მეორე (1979, 82) და ორგზის მესამე (1981, 83) პრიზიორი პირად პირველობაში. სსრკ თავის ჩემპიონი (1982, 85), სსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადის ჩემპიონი (1983), საქართველოს აბსოლუტურ ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1981). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1987-91 და 1997-2009). მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები სამჯერ ევროპის და ორჯერ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონი გახდა. 2002, 2003, 2006 და 2008 წლებში დაასახელეს ევროპის საუკეთესო მწვრთნელად. ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი.



### SHOTA KHABARELI

Judoist (78 kg), was born on December 26, 1958 in Dzlevisjvari village of Kareli district (Eastern Georgia). He is a champion of XXII Olympic Games (Moscow, 1980), bronze medalist of the world championship (1983), twice champion of Europe in the team event (1979, 1983), twice silver (1979, 1982) and twice bronze (1981, 1983) medalist of European championships in the individual contests. He was twice champion of the USSR (1982, 1985) and champion of the 8th USSR sports and athletics meeting (1983) and absolute champion of Georgia in a folk-style wrestling (1981). Khabareli was the USSR Honored Master of Sports. He holds the title of Honored Coach of Georgia. Khabareli was chief coach of the Georgian national judo team (1987-1991 and 1997-2009). Under his leadership the Georgian national team became three time champion of Europe and twice world champion in the team event. In 2002, 2003, 2006 and 2008 Khabareli was named as the best judo coach of Europe. He was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class and Order of Honor.